6494

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

F76 N370

პარასკევი, 25 ივლისი, 1941 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 30 (189) ფასი 30 კაპ.

## მწერლობა სამამულო ომის სამსახურში

მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი ჩვენი სოციალისტური სამშობლო დიად სამამულო ომს აწარმოებს გერმანიის ფაშიზმის გამხეცებული ურდოების წინააღმდეგ, მთელი კაცობრიობის უბოროტეს მტრის წინააღმდეგ. ჩვენი გმირი ტანკისტები, თავგანწირული სტალინური მფრინავები, მამაცი ცხენოსნები, ძლევამოსილი საბჭოთა ქვეითი ჯარი, მარჯვე არტილერისტები, წითელი ფლოტი, — ყველა საუკეთესო შვილი სტალინური ქვეყნისა უშიშრად უხვდება ვერაგსა და სასტიკ მტერს. თვითეული პატრიოტი ჩვენი სამშობლოსი ფოლადის სიმტკიცესა და შეუპოვრობას იჩენს ბრძოლაში, უშიშრობას იჩენს სიკვდილის წინაშე, ბოლომდე იხდის თავის მაღალ მხედრულ ვალს, სძლევს ყოველგვარ სიძნელეს, არა ჩერდება არავითარი განსაცდელის წინაშე და სიცოცხლეს არ იშურებს, რათა მოსპოს და გაანადგუროს მტერი, მოსპოს ფაშისტური მიხაკისფერი ჭირი, საზიზღარი ფაშისტური მხეცი, რომელმაც თავისი თათები საბჭოთა ხალხის ყელისაკენ გამოიშვირა.

აღსდგა გოლიათი ხალხი თავისი მიწა-წყლის დასაცავად, **სტალინის** დაძახილზე დაირაზმა დიდი საბჭოთა კავშირი, რათა აღგავოს პირისაგან მიწისა კაციჭამიებისა და ავაზაკების წყეული ბანდა. მთელი მოწინავე კაცობრიობა განცვიფრებული და აღფრთოვანებულია საბჭოთა ადამიანების გმირობით. წითელ არმიასა და ფლოტთან ერთად მამაცურად იბრძვის მრავალი ათასი პარტიზანი, რომელნიც გმირულად მოქმედებენ მტრის ზურგში.

ამ მრისხანე ჟამს, როცა ჩვენი სამშობლო განსაცდელშია, როცა ჩვენს ქვეყანას სერიოზული საფრთხე ემუქრება, შრომითი ფრონტის მეომრები — მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია ახდენენ მთელი თავიანთი ნებისყოფისა და ენერგიის უსწრაფეს მობილიზაციას, რათა გამოსჭედონ გამარჯვება ზურგში, ყოველნაირად დაეხმარონ წითელ არმიას და პარტიისა და მთავრობის პირველ დაძახილზევე იარაღი აიღონ ხელში. ვიმუშაოთ ზურგში ისევე, როგორც ფრონტზე,—ამ გრძნობით არიან გამსჭვალული ჩვენი ქვეყნის მშრომელები ყოველ ქარხანაში, ყოველ კოლმეურნეობაში. ისინი დაზგებთან და სოციალისტურ მინდვრებზე შრომით გმირობის სასწაულებს გვიჩვენებენ და თავდადებული მუშაობით განამტკიცებენ წითელი არმიის ძლიერებას.

საბჭოთა ხალხმა, რომელიც აღზარდა და გამოაწრთო **ლენინ-სტალინის** დიადმა პარტიამ, რომელიც აღზრდა და გამოაწრთო დიდმა **სტალინმა**, კარგად იცის, რომ გამარჯვება თავისთავად არ მოდის, რომ გამარჯვება უნდა მოვიპოვოთ ყოველგვარი სიძნელის გადალახვით და არ შევჩერდეთ არავითარი განსაცდელის წინაშე. ახლა ჩვენს ქვეყანაში აღარ არის მშვიდობიანი პროფესიები, — ყოველი ქარხანა სიმაგრეა, ყოველი მშრომელი მებრძოლია. საბჭოთა მწერალი, რომლის გულშიც საბჭოთა ქვეყნის პატრიოტის ჩაუქრობელი გრძნობა ღვივის, თავის ხალხთან ერთად ფრონტისა და ზურგის მებრძოლთა რიგებში სჭედავს, ამზადებს და ახლოვებს ჩვენი ქვეყნის გამარჯვებას.

სამამულო ომში უაღრესად გაიზარდა ჩვენი ლიტერატურის ამოცანები. ახლა საბჭოთა მწერლის სიტყვა, მისი ყოველი სტრიქონი უნდა იყოს ბასრი და ფხიანი, როგორც ხიშტი წითელარმიელისა, მრისხანე და ზუსტი, მიზანში აუცდენელი, როგორც ტყვია წითელი მებრძოლისა. მრავალი საბჭოთა მწერალი უკვე ფრონტზე იმყოფება. ისინი იქ ვაჟკაცურად იხდიან თავიანთ წმინდა მოქალაქეობრივ მოვალეობას და არაფერს არა ზოგავენ, რათა დაეხმარონ წითელ არმიას. მრავალი მწერალი დარჩა ზურგში, რათა შეასრულოს საპატიო მოვალეობა საბჭოთა ხალხის დიდი ამოცანების პროპაგანდისტისა და აგიტატორისა.

ყოველმა ქართველმა მწერალმა უნდა გადმოიღოს შესანიშნავი მაგალითი ჩვენი რუსი, უკრაინელი, ბელორუსი ძმებისა და თანამებრძოლებისა. ყოველმა მწერალმა უნდა იგულისხმოს თავი მობილიზებულად და მთელი თავისი ძალა, მთელი თავისი დრო და უნარი დაუმორჩილოს ბოლშევიკური აგიტაციისა და პროპაგანდის ამოცანებს. საბჭოთა მწერლის ვალია განუმარტოს მოსახლეობას იმ საშიშროების მთელი სიღრმე, რომელიც ჩვენს ქვეყანას ემუქრება. საბჭოთა მწერლის სიტყვა უნდა გაისმოდეს, როგორც საბრძოლო ბუკი და ნაღარა, ის ცეცხლოვანი მოწოდებით უნდა განამტკიცებდეს ჩვენი ხალხის პოლიტიკურ-მორალურ მთლიანობას და სიმხნევეს. საბჭოთა მწერალი თავისი მუშაობით უნდა უპირისპირდებოდეს, ებრძოდეს ყოველგვარ ხმასა და ჩურჩულს, რომელსაც შეუძლია იმოქმედოს მტრის სასარგებლოდ, უნდა ვებრძოლოთ ყოველგვარ პანიკიორობას, დაბნეულობას, უნდა განვამტკიცოთ სიფხიზლე და შეუბრალებელნი ვიყვნეთ იმათ მიმართ, ვინც პროვოკაციული ხმების გავრცელების საშუალებით შეეცდება სასოწარკვეთილების შხამი დასთესოს, ყოველმხრივ უნდა გავაძლიეროთ ხალხის პატრიოტული აღფრთოვანება.

საბჭოთა მწერლის ნაწარმოებში განუწყვეტლივ უნდა სჩქეფდეს ბოლშევიკური სიმართლის ცეცხლოვანი სიტყვა, წმინდა სიძულვილი ფაშისტი მტარვალებისადმი, საზიზღარი მკვლელებისადმი. საბჭოთა მწერლის ადგილი ახლა კლუბებშია, საესტრადო მოედნებზე, გაზეთებში და წითელი არმიის ნაწილებში. ამ მრისხანე დღეებში მწერალი უნდა იყოს ტრიბუნი, მან მთელი თავისი ნიჭი და უნარი უნდა მოახმაროს საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცებას. ახლა აღარ არის აკადემიური სიმშვიდისა და წყნარი, კაბინეტური მუშაობის დრო. ჩვენი ქვეყანა ახლა, ისევე, როგორც სამოქალაქო ომის განსაცდელით სავსე დღეებში, სამხედრო ბანაკად უნდა გადავაქციოთ, სადაც ყველა, რა თანამდებობაზედაც არ უნდა მუშაობდეს იგი, თავს მებრძოლად უნდა გრძნობდეს, მთელი სულით და გულით მონაწილეობდეს სამამულო ომში, ყოველგვარი მსხვერპლი გაიღოს და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლოს სამშობლოს, ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად. ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებმა არ უნდა დაზოგონ თავიანთი ძალ-ღონე, რათა დაეხმარონ წითელ არმიას, მუშებსა და გლეხებს მათ თავგანწირულ შრომასა და ბრძოლაში სამშობლოს დასაცავად.

ამ ამოცანებისათვის ზრდიდა და ამზადებდა ჩვენს მწერლობას ბოლშევიკური პარტია. სამამულო ომის ინტერესები, მთელი სამშობლოს ინტერესები მოითხოვენ, რათა საბჭოთა მწერალმა საქმით განამტკიცოს, თავდაუზოგველი მუშაობით გვიჩვენოს თავისი ულრმესი ერთგულება ბოლშევიკური პარტიისადმი, დიდი **სტალინისადმი**. ჩვენ, საბჭოთა მწერლები, ჩვენი მხატვრული შემოქმედების ძალით, ჩვენი საქმით ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ პარტიას მტერთან საბრძოლველად.

ეს არის ჩვენი უწმინდესი და უპირველესი მოვალეობა. ამ მხრივ საბჭოთა მწერლებმა უკვე დაიწყეს მუშაობა. ეს მუშაობა უფრო უნდა გავაძლიეროთ, უფრო მჭიდროდ უნდა დავირაზმოთ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, საბჭოთა კავშირის ხალხთა ბელადის, წითელი არმიის ბელადის ამხანაგი **სტალინის** გარშემო, რათა თავდადებით გავუწიოთ დახმარება წითელ არმიასა და სამხედრო - საზღვაო ფლოტს, რათა გავანადგუროთ მტერი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მშრომელებისათვის მონობის ბორკილები მოაქვს.

ფაშისტური მკვლელების საზარელი ბანდა განადგურებული და აღგვილი იქნება პირისაგან მიწისა, რა მსხვერპლიც არ უნდა მოითხოვოს ამან. გამარჯვება ძლევამოსილ საბჭოთა ხალხს დარჩება.

## სამამულო ომისადმი მიძღვნილი ლექსები და სიმღერები

სახელგამმა გამოსცა სამამულო ომისადმი მიძღვნილი ლექსების ორი კრებული: „სიმღერა გამარჯვებისა“ და „ჩვენ გავიმარჯვებთ“. კრებულში მოთავსებულია ა. მაშაშვილის, გ. ლეონიძის, ხ. ჩიქოვანის, გ. ტაბიძის, ა. აბაშელის, გრ. აბაშიძის, შალვა აფხაიძის, ა. შენგელიას, გ. ქუჩიშვილის, ს. შანშიაშვილის და სხვათა ლექსები და სიმღერები.

კაცი, ქალი თუ პატარა,
ქვეყნის ყოველი მუშაკი,
ყველგან სად იყოს, სად არა,
თავს გრძნობდეს, როგორც გუშაგი!



## შევმუსროთ მტერი

### ალ. აბაშელი

მტერს დაუბრმავა ბილწი თვალები
ჩვენი სამშობლოს ლაღმა ბუნებამ.
ამ დიდ ველების, ამ მწვერვალების
მან მოინდომა დამაბუნება.

ჩვენს მიწა-წყალზე ოქროს ახვეტა
მტაცებელთ ხროვას კვლავაც უცდია,
მაგრამ ჩვენს მიწას მტრის დასახვედრად
ბევრი ვაჟკაცი გამოუზრდია.

შემოსეულ მტერს შეჰგებებია
ხალხი, ქცეული ერთ დიდ სხეულად,
ხალხს გამარჯვება მუდამ რგებია,
მტერი ყოველთვის უკუქცეულა.

დღეს ისევ ვებრძვით ძველ მუხანათებს,
სახალხო ომის ისმის ძახილი.
მამულის დროშას მზეებრ ანათებს
დიდი სტალინის დიდი სახელი.

ჩვენც ავასრულოთ ეს განაჩენი,
ბელადის მიერ დამტკიცებული,
რომ დამარცხებულ მტრების ნარჩენი
უკუგარბოდეს ზარდაცემული.

აბჯარშელეწილს, შერცხვენილს, დაღლილს
ანადგურებდეს წითელი ჯარი.
მიეგოს ხვედრი ცოფიან ძაღლის,
გამოეკეტოს ყოველმხრივ კარი!

დაემხოს, ჩაჰყვეს უფსკრულში შავ ბედს
მტარვალი, ბოროტ ოცნებით მთვრალი,
და იმ უძლეველ მიწაში ჩალპეს,
რომელსაც დაჰკრა მსუნაგი თვალი.

თან ჩაიყოლოს გულბიწიერმა
ლაფით მოსილი თვისი ნამუსი,
და იმავ მიწის დაფაროს მტვერმა,
მისი დროშის და აბჯრის ნამუსრი!

## მ ა მ უ ლ ი

### ალექსანდრე საჯაია

დაჰკარით, ძმებო, კიდევ დაჰკარით,
ჩვენს ხმლებს მტრის სისხლი ნუ მოშივდებათ;
სულ იკაშკაშებს ჩვენი ვარსკვლავი,
ჩვენს საარაკო გმირებს დიდება!

რა შეედრება იმ წმინდა ღამეს,
როს ომ გადახდილთ შეგვარხევს ქარი
და განა კიდევ იქნება რამე,
გამარჯვებულთა სიმღერის დარი?

დღეგრძელი იყოს ჩვენი მამული,
არ მივაკაროთ მის ნათელს ჩრდილი.
როგორ ინათებს ცა მეწამული,
მტრის დამარცხების პირველი დილით.

მიწა თვალს გახსნის წყნარი და მშვიდი,
მამულიშვილთა ნახვის მსურველი.
რა რიგ იფეთქებს პირველი კვირტი,
და რა იქნება მისი სურნელი!

მზე რტოებს აყრის ადიდებული,
შრიალით, მტვრევით, კორიანტელით.
და რა იქნება, რა დიდებული
იმ გამარჯვებულ დღეთა ნათელი!

დაგვიბრუნდება მშვიდობის დღენი,
გაიფანტება ღრუბლები მტრისა.
და რა იქნება, ბიჭებო, ჩვენი
შეძახილი და სოფელში მისვლა!

ჩვენზე იტყვიან შვილიშვილებიც,
წინაპრები რომ ვყავდით ქებულნი:
მტერს შევეტაკეთ ფრთაგაშლილები,
ბრძოლაში ცეცხლად აფეთქებულნი.

ვურტყამდით ვერაგს დაუზოგველად,
ჩვენ რწმენა გვქონდა ნატვრისთვალივით.
თავისუფლებას ვეტრფოდით ყველა,
ყველას გვიყვარდა დიდი სტალინი.
დაჰკარით, ძმებო, უფრო დაჰკარით,
ტყვიას მტრის სისხლი ნუ მოშივდება;
სულ იკაშკაშებს ჩვენი ვარსკვლავი,
ჩვენს საამაყო მამულს დიდება!

## ვინ არიან ისინი?

### ილია ერენბურგი

ეს ამბავი ოცი წლის წინად მოხდა. ვიღაც რეპორტიორმა ადოლფ ჰიტლერის სურათის გადაღება განიძრახა. ჰიტლერი ის იყო იწყებდა მაშინ ამკლებ-ამწიოკებლის კარიერას და ამით იხვეჭდა სახელს. ფოტოგრაფმა გადაღების დროს მაგნიუმს მიმართა. გაბრაზებულმა ჰიტლერმა წამოიძახა: მე მაგას კარგ ხანძარს ვამჯობინებო. უნიჭო მხატვარი მსოფლიო სახელის მოხვეჭას ოცნებობდა. ადამიანს, რომელიც ჩუმ-ჩუმად ჰყიდდა უბეში დამალულ საეჭვო სურათებს, გულით სურდა კანონების კარნახი. წვრილფეხა ჯაშუში მოწყურებული იყო თავის ფეხთით დაჩოქილ მილიონების ხილვას. მაწანწალას, რომელიც ღამეებს ბინძურ ღამისსათევებში ქურდ-ბაცაცებთან ატარებდა, ბრწყინვალე სასახლეები ესიზმრებოდა.

სიბნელისა და სიბინძურის ქვეყნიდან მოვიდნენ ისინი: მწერებივით გამოძვრნენ ჰოგენცოლერნების დამპალი გერმანიის ჭუჭრუტანებიდან. მათი ოფიციალური ბიოგრაფიები სავსეა არა ერთი და ორი სათაკილო მარცხით. რით არის ცნობილი, მაგალითად, პროპაგანდის მინისტრი გებელსი? რა იყო იგი წარსულში? — უიღბლო გრაფომანი, პორნოგრაფიული ფურცლების გამომცემელი, კაცი, რომელსაც ცხვირიდან ძმარს ადენდნენ ზნეობის შეურაცხყოფისათვის. „მუშათა ფრონტის“ მეთაური ლეი კელნის პოლიციის დამნაშავეთა სიაში ცნობილია ხულიგნად, რომელიც ავეჯს ამტვრევდა და ადამიანებს ამახინჯებდა. შემდეგში ლეიმ უფრო მშვიდობიანი ხელობა აირჩია: პროფესიულ გამფლანგველად გადაიქცა. მიწათმოქმედების მინისტრი დარე სამსახურიდან ძარცვა-გლეჯისათვის დაითხოვეს. მარშალი ჰერინგი, როგორც მორფინისტი, სასამართლომ უპასუხისმგებლო ადამიანად იცნო. ამ ბანდის იდეოლოგი შტრეიხერი ახალგაზრდა ქალიშვილებით ვაჭრობდა, ხოლო ბანდის დიპლომატი ფონ რიბენტროპი შამპანიურის კონტრაბანდით ცხოვრობდა. ისტორიამ არ უწყის მთავრობა, რომელსაც სისხლის სამართლის ასეთი შემზარავი წარსული ჰქონდეს.

ყაჩაღობა მათ ფილოსოფიად გამოაცხადეს, ძარცვა-გლეჯისაგან სახელმწიფო სისტემა შეჰქმნეს. მათ აღზარდეს შეიარაღებულ ბანდიტთა უამრავი ურდოები და დაიმონავეს გერმანიის ხალხი. მათ სურთ ეს ხალხიც თავიანთი ძარცვა-გლეჯის მონაწილედ გახადონ. რას წარმოადგენს დარეს წინანდელი ძარცვა-გლეჯა ან გებელსის მილიონები ფაშიზმის ახლანდელ მტაცებლობასთან შედარებით დაპყრობილ ქვეყნებში.

ვინ მიიყვანა ეს ბანდა ხელისუფლებასთან? მიიყვანეს რურის მაგნატებმა, ბანკისა და ბირჟის მოსაქმეებმა, ქვანახშირის, ელექტრონისა და ფოლადის მეფეებმა. პირველ ხანებში ეს პატივცემული ბატონები უხერხულად გრძნობდნენ თავს, არ იცოდნენ — შეეშვათ თუ არა თავიანთ სახლებში ქურდულ კილოზე მოლაპარაკე ეს ავაზაკები. ვინ იცის, იქნებ გერმანიის ნამდვილი ბატონ-პატრონნი ახალ მინისტრებთან ლაპარაკის დროს ინსტიქტურად მალავდნენ პორტსიგარებს და ავტომატურ საჰელურებს. იქნებ გებელსის და შტრეიხერის ვნებიანი სიცილის გაგონებაზე ისინი სასწრაფოდ გზავნიდნენ თავიანთ ქალიშვილებს საზღვარგარეთ. მაგრამ რურის მაგნატებს სხვა არჩევანი არა ჰქონდათ — ჰიტლერმა უთხრა მათ: მე გიხსნითო.

ბოლოს მორიგდნენ და შეთანხმდნენ. ფრიც ფონ ტისენი მხურვალედ ართმევდა ხელს ტიროლელ გაიძვერას ჰიტლერს. გუსტავ კრუპ ფონ ბოლენ უნდ გალბახი მსხვილ ჩეკებს აჩეჩებდა წვრილფეხა გამფლანგველს ლეის. ფოლადის ტრესტის მეთაური ფეგლერი ტკბილად უღიმოდა უხამს გებელსს.

გერმანელ გენერლებზე ნაკლებად ლაპარაკობენ. მაინცა და მაინც არც თავათ გენერლები არიან ლაპარაკით დაავადებულნი. აი გებელსი, სულ სხვა საქმეა, — იგი დღეს არ დაალამებს ისე, თუ გრძელი სიტყვა არ წარმოსთქვა. გენერლები კი საქმეში არიან ჩაფლული. მათ სურათებს გერმანულ ჟურნალში ათავსებენ: ნახავთ იქ ძველი არისტოკრატების უტვინო კვერცხისებურ თავებს, დეგენერატულ სახეებს, პრუსიელთა კეფაჩამოჭრილ გოგრებს.

ავიღოთ ფელდმარშალი ალფრედ-ჰენრიხ-ვალტერ ფონ ბრაუხიჩი. იგი ამაყობს თავისი ჩამომავლობით: ასახელებს თავის წინაპრებს, რომელთაც მეცამეტე საუკუნეში უომნიათ. ბრაუხიჩს უყვარს განსვენებულ ფონ მოლტკეს კაბინეტში ჯდომა: იქ ვერავინ გაბედავს მის შეწუხებას — ფიქრებს ეძლევა იგი ამ დროს. ბრაუხიჩი ლიუდენდორფის მეგობარი იყო. პოლონელების ამოჟლეტისათვის მან მიიღო უმაღლესი ნიშანი და სახელწოდება „პოლონეთის მახრჩობელი“. ბრაუხიჩი გერმანიის ერთ-ერთი უდიდესი მემამულეა.

დიდი მემამულეა აგრეთვე ფელდმარშალი ვილჰელმ ფონ კეიტელი. ფელდმარშალი ფონ რეიხენაუ გენერლის შვილია, ხოლო ფელდმარშალი ფონ კლიუგე პოზნანელი არისტოკრატია. ფელდმარშალმა ფონ რუნშტედმა, ჰინდენბურგის საყვარელმა კაცმა, მაშინ შტაბის ოფიცერმა, ოდესღაც საშინლად გაძარცვა ვარშავა. მეოთხედი საუკუნის შემდეგ იგი კვლავ მოჰყვა ამ ბედუკუღმართ ქალაქში. ფელდმარშალი თეოდორე ფონ ბოკი პრუსიელი არისტოკრატია. სამსახური მან პრუსიის მეფის გვარდიაში დაიწყო. ფელდმარშალი ზიგმუნდ ფონ ლისტი ოდესღაც იმ პოლკს უფროსობდა, სადაც ბნედიანი ადოლფ ჰიტლერი ეფრეიტორად მსახურებდა. მაშინდელ პოლკოვნიკს არ ახსოვს ეფრეიტორი, სამაგიეროდ ეფრეიტორს ძალიან კარგად ახსოვს პოლკოვნიკი. ჰიტლერმა დააწინაურა ფონ ლისტი. ამ გენერალმა, რომელიც მხეცივით შეიჭრა უიარაღო მორავიაში, თავი ნაპოლეონად წარმოიდგინა. ქალაქ ბრნოში, მასარიკის მოედანზე, მან ხმამაღლა წამოიყვირა: „ჩვენ დავანახვებთ ყველას, თუ როგორია გერმანული სიმამაცე!“.

ჰიტლერის გერმანიის ყველა დეკლარაცია, ყველა ლოზუნგი სიცრუეს ემყარება. ჰიტლერის ბანდა ხშირად ღალატობს თავის საყვარელ რასიულ თეორიასაც კი. როგორც ცნობილია, ნაციონალ-სოციალისტებმა დააწესეს გერმანელის სტანდარტული ტიპი: იგი მაღალი ქერა ადამიანი უნდა იყოს. დოქტორი გებელსი კი ამ დროს პაწაწკინა შავტუხა კაცუნაა. მაგრამ „ანთროპოლოგებმა“ გამოსავალი გამონახეს: თურმე ნუ იტყვით, გებელსი არიული რასის განსაკუთრებულ შტოს ეკუთვნის, — „გერმანულ, შეზღუდულ და შემდეგში გამუქებულ შტოს“.

პატრიოტიზმი? როგორ არის საქმე ამ მხრივ? გერმანიის ეხლანდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ფონ რიბენტროპი, ღვინის ვაჭარი, დიდის ამბით მიესალმებოდა ფრანგების მიერ რეინის ოლქის ოკუპაციას — ფრანგულ შამპანიურზე იგი დიდძალ ფულს იგებდა.

მაწანწალების, რურის მაგნატებისა და პრუსიის სამხედრო ხროვის კავშირს ერთი მიზანი აქვს დასახული: ძარცოს მთელი დედამიწა, ძარცოს იგი მსოფლიო მაშტაბით. გერმანიის კაპიტალისტებს, მათ შორის მარშალ ჰერინგს, იზიდავენ, ნერწყვს გვრიან ქარხნები, მაღაროები, აქციები. გერმანელმა კაპიტალისტებმა საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიის მთელი მრეწველობა წარიტაცეს. ღირს კი ქარხნების აგება, თუ კი შეიძლება მზა ქარხნების ხელში ჩაგდება? ამ ვაჟბატონების სეიფებში საკუთარ დოვლათს ფრანგი კაპიტალისტების ფასეულობის გაბერილი პაკეტები მიემატა.

უფრო მეტად იზიდავს მტაცებლებს მიწა. შარშან მაისში მიწათმოქმედების მინისტრმა დარემ გამოაცხადა მიწის დატაცების და მემამულეთა ახალი წოდების შექმნის პროგრამა: „ჩვენ მიერ დაპყრობილი ქვეყნების მიწას დავურიგებთ იმ ჯარისკაცებს, რომელთაც განსაკუთრებით იჩინეს თავი და ნაციონალ-სოციალისტთა პარტიის საუკეთესო წევრებს. ამრიგად გაჩნდება ახალი საადგილ-მამულო არისტოკრატია. ამ არისტოკრატიას თავისი ყმები ეყოლება: ადგილობრივი მცხოვრებნი. გერმანელები მიეჩვივნენ ბრძანებას, ისინი მიეჩვივნენ ურჩების დასჯას, როცა კი ამას საჭიროება მოითხოვს. ისინი აამაღლებენ სოფლის მეურნეობას და შექმნიან ახალ წყობილებას“.

მათ გერმანელი ხალხი მონებად გადააქციეს. ახლა ისინი ეუბნებიან ამ ხალხს: „ნუ მოერიდებით ტყვიის სეტყვას! თქვენ მონებად დარჩებით, სამაგიეროდ საკუთარი მონები გეყოლებათ“-ო.

ამისათვის დაიძრნენ ისინი ჩვენსკენ, ჩვენს წინააღმდეგ. ვიცით, რაც უნდათ მათ. ყოფილ ჯაშუშს ჰიტლერს ევროპის იმპერატორობა სწყურიან. ფეგლერებს თვალი რჩებათ ბაქოს ნავთზე, ურალის რკინაზე, საბჭოთა ხალხის გმირული შრომით აგებულ გიგანტ ქარხნებზე. პრუსიელ მემამულეებს უკრაინელი გლეხების ყმებად გადაქცევა სწადიათ. მათ საერთო პასუხისმგებლობა აკავშირებთ,— ეს არის ყაჩაღთა ბრბოს ურთიერთთავდებობა. ფეგლერი არ უღალატებს ჰიტლერს, ფონ ლისტი არ გასცემს გებელსს. ისინი ევროპაში დაძრწიან, გამოსავალს ეძებენ. შეიძლება გამოიგონო რასიული განსაზღვრა ადამიანის მსგავსებას და ხატებას მოკლებულ გებელსისათვის და ამით ათი სულელი მოატყუო. მაგრამ შეუძლებელია ისტორიის მოტყუება. მათთვის არ არსებობს ხსნა და გამოსავალი. ისინი ცდილობენ ნაპოლეონებად მოგვევლინონ, ცეზარებად მოგვაჩვენონ თავი. მაგრამ ვერ მოგვატყუებენ: მათ ისევე დაუნდობლად ამოჟლეტენ, როგორც ცოფიან ძაღლებს ელეტენ.

# დ ე დ ა

## სოლომონ თავაძე

ეს ამბავი პოეტის მიერ შეთხზული ლეგენდა არ არის, თუმცა იგი მრავალი საუკუნის ლეგენდებს აღემატება.

რკინიგზის ლიანდაგის პირად განმარტოებით სდგას სადარაჯო სახლი, სქელკედლებიანი ქვის შენობა.

ამ სახლში ცხოვრობს ლიანდაგის მეთვალყურე — ორი შვილის დედა სვერკოვსკაია.

თვითოეულ რელსს იცნობს თავის უბანში სვერკოვსკაია, იცის, სად რომელი ჭანჭიკი როგორაა მიმაგრებული.

დადის, დაკვირვებით ათვალიერებს ლიანდაგს: მას ხომ მრავალი ადამიანის სიცოცხლე აბარია.

სადარაჯო სახლში რომ დაბრუნდება, თავისი ცქრიალა პირმშოების მღიმარე თვალები ახარებენ, მათი ალერსი ატკბობს დედის გულს.

და, აი, დაიწყო ომი. ფრონტი სულ ახლოსაა. რკინიგზის ლიანდაგის მეთვალყურის მოვალეობა უაღრესად გაიზარდა.

გაბედული ქალია სვერკოვსკაია. მას ხშირად ესმის ქვემეხების ჭექა-ქუხილი, თვითმფრინავების ზუზუნი, მაგრამ შეუდრეკლად სდგას თავის სადარაჯოზე, ლიანდაგს თვალს არ აშორებს.

გრიალით მიჰქრიან სამხედრო მატარებლები. ხშირად ისმის ფრონტზე მიმავალ მებრძოლთა ომახიანი სიმღერა.

ლიანდაგის მეთვალყურე ქალს გული სიამაყით ევსება, ვინაიდან ისიც მშობელი ქვეყნისათვის თავდადებულთა განუყრელი ნაწილია.

იმ დღეს ბავშვებს გაალერსა, — ჰკუით იყავითო, დაუბარა და ლიანდაგის დასათვალიერებლად გამართა.

ირგვლივ სიჩუმე იდგა. მხოლოდ ხანდახან შორეული გრუხუნი მოისმოდა.

უცებ მოტორის ხმას მოჰკრა ყური.

ტყის გადაღმიდან მტრის ყუმბარმშენი ამოცურდა, რკინიგზის ლიანდაგს გაუსწორდა.

სვავივით დაიწყო ტრიალი. ჯერ სადარაჯო სახლს დააყარა ყუმბარები და მერე ლიანდაგს.

ერთმა ყუმბარამ ლიანდაგი დააზიანა.

მოსწყდა ადგილს გამწარებული დედა.

საით გაიქცეს?

დანგრეულ სახლში ჩარჩენილ ბავშვებს მიაშუროს თუ სადგურს აცნობოს, რომ მატარებელი არ გამოუშვან.

არა, ახლა დაყოვნება არ შეიძლება, ყოველ წუთს მატარებლის გამოსვლაა მოსალოდნელი. ვინ იცის, რამდენი ადამიანის სიცოცხლე ჰკიდია ახლა ბეწვზე...

თვალი მოსწყვიტა სვერკოვსკაიამ დანგრეულ სახლს და სადგურისაკენ გაიქცა.

მიასწრო...

მრავალი ადამიანი და სამხედრო საჭურველი გადაარჩინა.

გულაკვნესებული გამოეშურა შვილებისაკენ.

ერთი მოკლული დახვდა, მეორე — მძიმედ დაჭრილი...

ვაი შენ, კაციჭამია ჰიტლერო! რამდენი ასეთი დედა ჰგლოვობს თავის პირმშოს, რამდენი დედის წუხილი და მრისხანება მოითხოვს შურისძიებას!

ჩვენი მეომრების ძარღვებში ჰფეთქს საბჭოთა დედების უკვდავი გზნება, ის შემმუსვრელი ძალა, რომელიც გამანადგურებელ მეხად დაგატყდება, ჯალათო ჰიტლერო!

## „სამშობლოსათვის, სტალინისათვის"

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა მწერალთა კავშირის მიერ შედგენილი კრებული „სამშობლოსათვის, სტალინისათვის". კრებულში მონაწილეობას იღებს ყველა ჩვენი თვალსაჩინო პოეტი და მწერალი.

კრებულში მოთავსებულია: ირ. აბაშიძის, ა. აბაშელის, ი. გრიშაშვილის, გ. ლეონიძის, ა. მაშაშვილის, ს. ჩიქოვანის, ს. ეულის, გ. ქუჩიშვილის, ა. საჯაიას, ს. შანშიაშვილის, ა. შენგელიას, ხ. ვარდოშვილის, შ. დადიანის, კ. ლორთქიფანიძის, ი. მოსაშვილის, რ. გვეტაძის, დ. შენგელაიას, ა. ქუთათელის და სხვათა ლექსები და მოთხრობები.

ენაც მწარეა, ბასრი,
მტრების მახვილთა შორის,
ათას სიმართლეს გასვრის
ერთის ნათქვამი ჭორი!

## ფაშისტები ანადგურებენ პოლონეთის კულტურას

[illegible]

## სიმართლე მათ შესახებ, ვინც გასცა საფრანგეთი

[illegible] გორც ომამდე, ისე ომის დროს. ამათგან აღსანიშნავია მწერალი ლიონ ფეიხტვანგერი და რეიტერის სააგენტოს სამხედრო კორესპონდენტი გორდონ უოტერფილდი.

კრებულში დაბეჭდილია წერილები ანდრე სიმონისა — „სიმართლე იმათ შესახებ, ვინც საფრანგეთი გასცა", [illegible] დამნაშავე იყო საფრანგეთის დამარცხების საქმეში.

დიდ ინტერესს წარმოადგენს ჟიულ რომენის ნარკვევი „საიდუმლოებანი". მწერალი ეხება იმ ადამიანებს, რომელთაც საფრანგეთის ნაციონალური ტრაგედია მოამზადეს.

თუ გინდა კარგად იბრძოდე,
ბნელს სჭრიდეს ხმლის ნაკვესები:
მტერზე თავდასხმა იცოდე,
მასთან — თავდაცვის წესებიც.

# ხ ი დ ი

## ალექსანდრე ქუთათელი

### 1. პიონერი

თენდება. ცაში ნათელი დგება. სამი მზვერავი ტანკი ტყიდან გამოდის, ფერდობს ივაკებს და მდინარეზე ხიდს უახლოვდება. დაუზვერავად ვადასვლას მაინც ვერ ბედავენ ტანკისტები. გზაზე ჩერდებიან. ხიდი თავისუფალია და თითქოს არავითარი დაბრკოლება არ ეღობება მანქანებს, მაგრამ ხიდის იქითა ყურე ჩვენს ყუმბარმშენებს აუფეთქებიათ და მისი დანგრეული ნაწილი სახელდახელოდ შეუკეთებიათ გერმანელებს ხის ხიმინჯებითა და ტივტივით. ჩვენი მებრძოლები არკვევენ: შეიძლება თუ არა შეკეთებულ ხიდზე ტანკებით გასვლა. ცარიელ ხიდს, თუჯის თაღებსა და ბურჯებს გასცქერიან საჭვრეტიდან. მდინარის იქით, ტყის პირად, უკრაინული კოხტა სოფელი სდუმს, თითქოს თავის ტყვეობას გლოვობს და გაღვიძებას არ აპირებსო. ეს სოფელი გერმანელებმა დაიკავეს და ამ მშობლიურ, თეთრად შეღებილ ქოხებში, რომელთაც ჩუქურთმიანი ფანჯრები და დარაბები ამკობენ, ფაშისტები არიან მოკალათებულნი. მებრძოლებს გული ევსებათ ბოღმით და თითქო, მათთან ერთად, სწუხან და ცახცახებენ კოშკებითა და ზარბაზნებით დახუნძლული საბჭოთა ჯავშნოსნებიცო.

უცბად მახლობელ ტყიდან თორმეტიოდე წლის ყმაწვილი გამორბის. იქით-აქეთ იხედება, ცარიელ გზას სჭრის და ტანკთან ჩერდება. ტანკისტი საჭვრეტიდან უყურებს პიონერის ყელსახვევით მორთულ ყმაწვილს. ყმაწვილი ქუდს იხდის და გაზეპირებულ გაკვეთილივით ტანკისტს სხაპასხუპით ეუბნება უკრაინულ ენაზე:

— ამხანაგებო, ხიდზე არ გახვიდეთ. გერმანელებმა დანაღმეს.

ტანკისტი იღიმება და ალერსიანად შესცქერის მწვანე ხალათში გამოწყობილ ყმაწვილს, მის ანთებულ და დიდრონ თვალებს. ყმაწვილს სურს კიდევ რაღაც სთქვას, მაგრამ მდინარის იქითა ნაპირიდან გერმანელები შაშხანას ესვრიან.

ყმაწვილი ქუდს თავზე იხურავს და ქურციკივით გარბის ტყისაკენ, საიდანაც მას უკვე ეძახის პარტიზანული რაზმის უფროსი.

ტანკისტი თვალს მიატანს ყმაწვილის მოკლე შარვალს, გამხდარსა და მაღალ კანჭებს.

ტყვიები გახელებულ კრაზანებივით ეხეთქებიან ტანკს, ზუსტად ისვრიან დაწყევლილები და ტანკისტს საჭვრეტის ფარის დახურვა რომ არ მოესწრო, უთუოდ თავს გაუხვრეტდნენ.

ტანკები საბრძოლველად იშლებიან. პირველი ტანკი მაშინვე ეშურება დაზვერვის შედეგის მოსახსენებლად.

### 2. ლეიტენანტი ინწკირველი

მესანგრეთა ოცეულის მეთაურს, უმცროს ლეიტენანტს ინწკირველს ნაღმებისაგან ხიდის გაწმენდა ევალება. ტყე მდინარემდე ეშვება. მდინარემდე შეუმჩნევლად შეიძლება მისვლა, მაგრამ მდინარიდან ხიდამდე კარგა დიდი მანძილი ჯაგით არის დაფენილი.

მოღრუბლული დღეა. წვიმს. რეზინის მოსასხამში გამოწყობილი ლეიტენანტი ინწკირველი მუცელზე ხოხვით მიიწევს ჯაგით დაფენილ სანაპიროზე და მშვიდობით აღწევს ხიდის ყურეს. ისე უნდა ჩავიდეს ინწკირველი ხიდის ქვეშ, და გასწმინდოს იგი ნაღმებისაგან, რომ მდინარის იქით, ქოხებში ჩასაფრებულმა გერმანელმა ყარაულებმა არ დაინახონ, თორემ სროლას აუტეხენ.

ინწკირველი მოაჯირს ახტება და მერმე თუჯის ხარაჩოებით თუჯის ფილაქანზე მიცოცავს. ხიდს ქვემოდან ექცევა და რკინის ღერძზე ჯდება.

ხიდის ამ ყურეში ნაღმები არსად არა სჩანან. წინ რკინის სვეტები და გარდიგარდმო გაშვერილი ღერძები იხერგებიან, კიბორჩხალივით დაკვარჩხულნი და დაგრეხილნი.

ძნელია მათი გადალახვა. ლეიტენანტი ხან ხელებით და ხანაც ფეხებით, თავდაყირა დაკიდებული მიდის. ხიდის ნახევარი განვლილია, მაგრამ ორძელიც თავდება და გადახტომა მოუხერხებელია. ლეიტენანტი ღერძს ხელებით ეკიდება, ქანაობს, იქითა რკინის ღერს ფეხს მოსდებს, მაგრამ ჩექმა უცურდება და მთელის ძალით უკანვე გამოქანდება. ხელები ელლება. ძალღონეს იკრებს. ისევ გაქანდება. შორს ისვრის ტანს და რკინის ღერძს მეორედ მოსდებს ფეხებს, მაგრამ ჩექმის ქუსლი ისევ უცურდება. დაკუთხული და წახნაგოვანი რკინის ძელი ხორცში იჭრება. ლეიტენანტს ძალა ელევა. ცალი ხელი უსხლტება. უნებლიეთ დაბლა იხედება, მდინარეს ხედავს და კრთება. ხელები იბრუშება. მოკრუნჩხულ, გალურჯებულ თითების ფრჩხილებიდან სისხლი მოჟონავს.

უკანასკნელ ძალღონეს იკრებს ლეიტენანტი. წინშვერს აკეთებს და ფეხის წვერებს ხელებთან იტანს. მერმე ფეხებს ხელებს შორის ატარებს, ღერძს უკნიდან ავლებს და მოღუნულ მუხლებით ზედ ეკიდება.

მაშინვე შაშხანა ვარდება. მდინარის იქით, ქოხში ჩასაფრებული გერმანელი ყარაული ხიდქვეშ ლეიტენანტს ამჩნევს. ინწკირველი არ იბნევა. ღერძზე ჯდება და რკინის ძელებს ესაფარება. მოსასხამს იხდის, ახვევს და, შაშხანის მეორედ გასროლისას, მდინარისაკენ გადაუძახებს. დაგორგლებული და მაგრა შეკრული მოსასხამი მდინარის ზედაპირზე მძიმედ ეცემა. ჩქარა მიაქვთ იგი ტალღებს, წყლით ჟღენთავენ, ითრევენ და უფსკრულისაკენ მიაყურყუმალებენ.

გერმანელი ყარაული ფიქრობს: ხიდქვეშ გასული კაცი მოვკალიო და სროლას მიატოვებს. ინწკირველი სარგებლობს ყარაულის შეცდომით, ოფლს იწურავს. ცოტას ისვენებს და ისევ წინ მიიწევს. მალე აღწევს კიდეც ხიდის ყურს, ნაღმებისაგან სწმენდს მას და უკან ბრუნდება. მაგრამ გერმანელების სხვა ყარაულები ამჩნევენ ეხლა მას და ტყვიამფრქვევს ესვრიან. ინწკირველი ხიდქვეშ ირინდება. ტყიდან ჩვენი ქვემეხების ჭექა-ქუხილი ისმის და მალე ის ქოხი, საიდანაც ტყვიამფრქვევი კაკანებდა, ინგრევა. ინწკირველი ხიდიდან სანაპიროზე გამოდის, ჯაგებს მუცელზე ხოხვით უკან იტოვებს და ტყეში შედის.

ხიდზე ჩვენი ტანკები გადიან და სოფელს მიაშურებენ.

### 3. ომი

წითელარმიელები გადარბენას იწყებენ. მდინარის მაღალ ნაპირზე, ჯაგებში ჩასაფრებული ფაშისტები ხელყუმბარებს და ტყვიამფრქვევს უშენენ. ლეიტენანტის ხარიტონოვის ასეულის მემიზნეები უპასუხებენ. ხარიტონოვი მოხერხებულ ადგილს არჩევს. ერთ ტყვიამფრქვევზე ის თვითონ მუშაობს. საკვირველად ისვრის იგი. ერთი საათის განმავლობაში ფაშისტების ასეულს თითქმის მთლიანად სპობს. ფაშისტების ოფიცერთა მეშველი ჩვიდმეტი ეფრეიტორი მოდის. ეფრეიტორები მუცელზე ხოხვით მოდიან ჯაგით დაფენილ ფერდობზე, შეუმჩნევლად უახლოვდებიან სწორუპოვარ მსროლელს — ხარიტონოვს, ერთი მათგანი დგება და ხელყუმბარას სტორცნის: ყუმბარა შორს ვარდება და ხარიტონოვი უვნებელი რჩება. მაშინ მდინარეზე გრიალით მოიჭრება სწორედ ის ტანკი, რომელსაც თორმეტი წლის პიონერმა აცნობა: ხიდი დანაღმულიაო.

წამოდგება თუ არა თხრილიდან ეფრეიტორი ყუმბარის სატყორცნელად, მაშინვე ტანკის ტყვიამფრქვევის მიერ მოთიბული იშოტება. მიწაზე. ჩვიდმეტი ფაშისტი ეფრეიტორი უქლებლივ იხოცება.

ტანკებისა და ტყვიამფრქვევების მიერ გაწმენდილ სოფლისაკენ ქვეითი ჯარი ეშურება. შენობებზე წითელი დროშები ფრიალებენ.

### 4 ტანკისტები

ომის შემდეგ სოფლის მოედანზე ტანკისტი, ლეიტენანტი ხარიტონოვი და ინწკირველი საუბრობენ. ჭაბუკი ტანკისტი სახეზე ოფლს იწმენდს. იგი მწითური და ბრგე ვაჟკაცია. ხიდისაკენ იცქირება და ის ყმაწვილი აგონდება, რომელიც მას ხიდთან შეეყარა და უთხრა: ხიდი დანაღმულიაო. „ვინ იყო ნეტავ ის პიონერი, გმირი ბიჭუნა? საუბარიც კი ვერ მოვასწარი მასთან! — ფიქრობს ტანკისტი. — ნეტავ მანახვა! როგორ მივიკრავდი იმ ყმაწვილს მკერდზე, ისეთივე სიყვარულით, როგორც ხალხთა ბელადი, ჩვენი მამა და მასწავლებელი, დიდი სტალინი ეამბორება და მიიკრავს ხოლმე მკერდზე ბავშვებს, გმირებს და მებრძოლებს, ყველა მათ, ვისაც საბჭოთა დიდი სამშობლო უყვარს და თავგამოდებით ემსახურება".

ასე ფიქრობს ტანკისტი. მერმე უეცრად მისი გონების თვალი ნათლად ხედავს პიონერის გმირ ბიჭუნას ჭორფლიან სახეს, მის მოცისფრო დიდრონ თვალებს და ქუთუთოზე მჯდარ ხორცმეტს, თითქო ჩიტს დაუკორტნიაო. საკვირველად შეჭრილა ტანკისტის მეხსიერებაში წამიერად ნახული, პარტიზანი ყმაწვილის სახე.

მ. ი. ლერმონტოვის დაღუპვის 100 წლისთავი

# სამამულო ომის მგოსანი

## ვ. წულუკიძე

წმინდა სამამულო ომის მრისხანე ვითარებაში უხდება საბჭოთა ხალხს აღნიშნოს თავისი სასიქადულო პოეტის მიხეილ ლერმონტოვის ტრაგიკული დაღუპვის 100 წლისთავი. შეიძლება გასული საუკუნის არც ერთი სხვა დიდი პოეტის შემოქმედება ისე არ ესიტყვებოდეს საბჭოთა ხალხის ეხლანდელ სულისკვეთებას, მის საბრძოლო განწყობილებას, როგორც ესიტყვება მას ლერმონტოვის შემოქმედება.

დღეს საბჭოთა ხალხის წინაშე მგზნებარე და ქარიშხლიანი სულის პოეტი ლერმონტოვი სდგას არა როგორც ჩვეულებრივი იუბილიარი, რომლისაგანაც ჩვენს თაობას საუკუნე აშორებს, არამედ როგორც ახალი სამამულო ომის მონაწილე, როგორც სამშობლოს თავისუფლებისათვის იარაღასხმული მოლაშქრე, როგორც სისხლიანი ფაშისტური ტირანიის უსასტიკესი მამხილებელი და მსჯავრმდებელი.

რუსეთის თვითმპყრობელობასთან მიტმასნილი პრუსიელი ბარონების — ბეკენდორფების და გაპრუსაკებული ნიკოლოზ პალკინის ხელმა, მილიონების სისხლში ამოსვრილმა ხელმა, დღევანდელი ფაშისტების მზგავსად, ქურდულად და მუხანათურად გაგმირა ჭაბუკი პოეტი ლერმონტოვი სწორედ იმიტომ, რომ ლერმონტოვის მქუხარე სიტყვამ საქვეყნოდ და სამარადისოდ შეაჩვენა მემამულეთა და ჟანდარმთა მხეცური სისასტიკე, დაუნდობლობა, მათ მიერ მილიონ მშრომელთა ფიზიკური განადგურება, ხალხის წმინდა გრძნობების გათელვა და შეურაცხყოფა. მაგრამ ჩვენი საუკუნე მოესწრო რუსეთის მეფურ ტირანიაზე უარესი მტარვალის აღვირახსნილ თარეშს.

განა ბნედიანი ჰიტლერის, ჰიმლერისა და გებელსის ბანდამ უფრო მეტის მხეცური სიხარბით არ შესვა სისხლი მრავალ და მრავალ მოწინავე მოაზროვნისა, მეცნიერის და მწერლისა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ აღიმაღლეს ხმა ჰუმანიზმისთვის, ადამიანობისთვის, მოქალაქობრივი თავისუფლებისთვის? განა ფაშისტ არამზადათა და გარეწართა ხროვამ არ დაღვარა ასჯერად მეტი სისხლი იმ ხალხებისა, რომლებიც წინ აღუდგნენ მეოცე საუკუნის ჩინგისხანების გამანადგურებელ ლაშქრობას? განა ათასჯერ მეტად არ გიზგიზებს ცეცხლი იმ კოცონებისა, რომლებიც მეოცე საუკუნის გაცოფებულმა ინკვიზიტორებმა დაანთეს საკაცობრიო კულტურის საუკეთესო ძეგლების, მეცნიერული და პოეტური აზროვნების უბადლო ნიმუშების დასაწვავად, დასაფერფლად და გასანადგურებლად?



თავისი დესპოტიზმით და სისხლის წყურვილით დღემდე სწორუპოვრად ცნობილი ბეკენდორფები მხოლოდ სუსტი ლანდები და მკრთალი ჩრდილები არიან ჩვენი დროის ფაშისტი კაციჭამიებისა.

პრუსიელი ბარონების ეს წყეული მემკვიდრეები — გერმანელი ფაშისტები, რომლებმაც კუბში და კიდევ უფრო მაღალ ხარისხში აიყვანეს თავიანთი ხორციელი და სულიერი წინაპრების ჯალათობა და ბოროტება, ყველაზე მეტად იმსახურებენ ჩვენი დიდი პოეტის ლერმონტოვის მიერ მემამულეთა და ჟანდარმთა ხროვის მიმართ თქმულ ტირადას:

„ხარბ და მსუნაგ ბრბოდ
მტარვალს ირგვლივ შემოკრებილნო,
თავისუფლების, ღირსების და
ნიჭის ჯალათნო".

თავისუფლების, ნიჭისა და კაცური ღირსების ჯალათებმა — ჰიტლერ-ჰიმლერ-გებელსებმა მთელი დასავლეთი ევროპა ბნელ და სულისშემხუთველ საპყრობილედ გადააქციეს, ხოლო თვით გერმანია თავიანთ ხლვირახსნილობის ასპარეზად,

„სად ქვენა გრძნობებს ფრთა გაუშლიათ,
სად ბოროტება თარეშობს სრული,
სადაც უშიშრად არ შეუძლიათ
არც სიძულვილი, არც სიყვარული!".

მთელი კაცობრიობის ეს საშინელი მაღრჩობელა, ეს საზიზღარი ურჩხული დაიძრა დღეს ჩვენი წმინდა მამულის, ჩვენი სამშობლოს თავისუფალი ხალხების დასამონებლად, შემოქმედებითი შრომით აყვავებული მისი ცხოვრებისა და ბედნიერების გასათელად, დაიძრა იმისთვის, რომ ქვეყანა, სადაც ბრწყინავს სტალინური კონსტიტუციის მზე, სადაც არ არსებობს ერთი ადამიანისაგან მეორის ჩაგვრა, ერთი ერისაგან მეორის დამონება, ქვეყანა, რომელიც ცოცხლობს და დღეგრძელობს ხალხთა სტალინური მეგობრობის დიადი დროშის ქვეშ, კვლავ გახადოს „მონათა ქვეყნად, „ბატონთა ქვეყნად", რომელსაც მართავენ და განაგებენ „პრუსიული ცისფერი მუნდირები". ასეთია გონებადაკარგულ ფაშისტთა გიჟური და ველური ოცნება, რომელსაც განხორციელება არ უწერია. ამ ოცნებას ჰიტლერის სისხლიანი ბანდა თან ჩაიყოლებს იმ ღრმა სამარეში, რომელსაც მათ გაუთხრის უძლეველი საბჭოთა ხალხი და მისი მამაცი არმია. ამის თავმდებია საბჭოთა ხალხების თავისუფლების მოყვარეობა, მათი უმაგალითო ვაჟკაცობა, სიმამაცე, სტალინური ნებისყოფა, რომლებიც ჩვენს მიწაწყალზე ფოლადის კედლად გადაეღობა ფაშისტთა ურდოების შემოსევას.

საბჭოთა ხალხის ეს მაღალი მორალური თვისებები, რომლებიც მოდრეკენ და გაანადგურებენ გაველურებული მტრის მილიონიან ურდოებს, იმ თესლის ნაყოფიც არის, რუსეთის ხალხის გულში რომ მიმოაბნია ლერმონტოვის მადლიანმა კალამმა. მთელი საუკუნის განმავლობაში ლერმონტოვის დაუდგრომელი, მოუსვენარი, მშფოთვარე პოეზია აყალიბებდა ვაჟკაცის გმირულ სულს; იგი ნერგავდა დაუნდობელ სიძულვილს მონობისადმი, მტარვალებისადმი, ყოველი სახის დესპოტიზმისადმი. იგი ზრდიდა წმინდა დაუცხრომელ სიყვარულს სამშობლოსადმი, ხალხისადმი, თავისუფლებისადმი. იგი უმღეროდა ბრძოლის გრიგალებს, ქედმოუხრელობას, სიმამაცეს, სულიერ სიმტკიცეს. იგი შესტრფოდა თავის მშობელი ხალხის შრომასა და ყოფას, თავისი ქვეყნის ბუნებას. იგი ადიდებდა ბუმბერაზ კავკასიონს და მის შვილთა მედგარ შეუპოვარ ბრძოლას დამპყრობელთა წინააღმდეგ. თავის წრის ადამიანების გონებრივ-მორალური უბადრუკობით გულგატეხილი პოეტი ეძებდა და უხმობდა გმირებს, ეძებდა და პოულობდა მათ რუსი ხალხის სახელოვან წარსულსა და მის ბედნიერ მომავალში. გმირების ძიებით გატაცებულმა ჭაბუკმა პოეტმა თავისი ხალხის გმირობა და ვაჟკაცობა მოგვცა კალაშნიკოვის სახით, იმ რუსი გოლიათი ადამიანის სახით, რომელიც ქედს არ იხრის მრისხანე მეფის ოპრიჩნიკების წინაშე და მთელი თავისი შეუპოვრობით და მრისხანებით იცავს თავისი ოჯახის ნამუსსა და პატიოსნებას, თავის კაცურ ღირსებას. კალაშნიკოვი ანსახიერებს ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლ მთელს მშრომელს რუსეთს.

განა დღეს კალაშნიკოვივით მხრებგამართული არა სდგას მთელი საბჭოთა ხალხი, რომელიც მკლავის გოლიათური მოქნევით მიწაზე ანარცხებს ჩვენი პატიოსნებისა და ღირსების შემლახავ, ჩვენი თავისუფლებისა და ბედნიერების შესამუსრავად მოსულ თანამედროვე ოპრიჩნიკობას და მასზე ასჯერად უფრო საძულველ ფაშიზმს. საბჭოთა ხალხის თავისუფლების მოყვარეობას, მის სულიერ სიმტკიცეს, უშიშრობასა და შეუპოვრობას ანსახიერებს ლერმონტოვის უბრწყინვალესი პოემის გმირი — ჭაბუკი მწირი, რომელმაც მხოლოდ ერთი ვნება იცის, ერთად-ერთი მგზნებარე ვნება — თავისუფლების უსაზღვრო, დაუშრეტელი სიყვარული. განა დღეს მთელი საბჭოთა ლაშქარი გარდაქცეული არ არის ლერმონტოვის დაუვიწყარი ბალადის, პატრიოტული ცეცხლით ანთებული ლექსის „ბოროდინოს" გმირად, პირველი სამამულო ომის, ბოროდინოს ბრძოლის იმ ვეტერანად, რომელიც ლერმონტოვის წრის ახალგაზრდებს მიმართავდა:

„იყვნენ ჩვენს დროში მხნე ვაჟკაცები,
დევგმირთა მოდგმა გაუტეხელი, —
თქვენ როდი გვანდნენ ბუმბერაზები!"

თავისუფლების მომღერალს, თავისი ქვეყნის დიდ პატრიოტს და მისი ბედნიერებისათვის ბრძოლის ცეცხლით ანთებულ პოეტს ლერმონტოვს აუსრულდა ის, რასაც იგი შენატროდა და რასაც თავის თაობაში ვერ ხედავდა: მისი პოეზიით განაყოფიერებულმა ნიადაგმა მშობლიური მიწისამ წარმოშვა დევ-გმირთა მრავალმილიონიანი ლაშქარი, ბუმბერაზთა ლაშქარი, რომელიც სამაყოდ და სასახელოდ შეასრულებს თავის დიად ისტორიულ დანიშნულებას — თავს გაუსრესს და მოსპობს შხამიან ურჩხულს — ჰიტლერსა და მის ურდოს. ამ გმირული ძლევამოსილი ლაშქრის მგოსნად და ტრუბადურად რჩება ლერმონტოვი. სამამულო ომის გრიგალში მისი ჩანგი

„რეკავს, ვით ზარი ვეჩეს კოშკზე,
სიხარულის ჟამს
და ჟამს სახალხო განსაცდელისას".

სარედაქციო კოლეგია:
ი. აბაშიძე, შ. დადიანი, ს. ეული, გ. ლეონიძე, გ. ნატროშვილი, შ. რადიანი, ვ. წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახახლე) ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 35494